

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 90
წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოცემა
Anniversary edition dedicated to the 90th anniversary of
Akaki Tsereteli State University
Юбилейное издание, посвященное 90-летию Государственного
университета Акакия Церетели

ISSN 2346-8467

აგრო
AGRO
АГРО
NEWS

№10

ქუთაისი – Kutaisi – Кутаиси
2023

ჟურნალი წარმოადგენს
იმერეთის აგროეკოლოგიური ასოციაციის კავშირისა და
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის
პერიოდულ-სამეცნიერო გამოცემას

სარედაქციო კოლეგია:

ლორთქიფანიძე როზა – (მთავარი რედაქტორი);

სანთელაძე ნატალია- (სწავლული მდივანი);

წევრები: პაპუნიძე ვანო; შაფაკიძე ელგუჯა; ასათიანი რევაზი; კოპალიანი როლანდი; ჯაბნიძე რევაზი; კინწურაშვილი ქეთევანი; ხასაია იზოლდა; ჭაბუკიანი რანი; ქობალია ვახტანგი; ფრუიძე მაყვალა; ჩახხიანი-ანასაშვილი ნუნუ; დოლბაია თამარი; ყუბანეიშვილი მაკა; კელენჯერიძე ნინო; ყიფიანი ნინო; ხელაძე მაია; კილასონია ემზარ; კევილიშვილი მანანა; ჩხიროძე დარეჯანი; ჯობავა ტრისტანი; წიქორიძე მამუკა; თავბერიძე სოსო; თაბაგარი მარიეტა; კილაძე რამაზი; ბენიძე ეთერი; ჟორჯოლიანი ცირა; დუმბაძე გუგული; ნემსაძე მარიამი.

სარედაქციო კოლეგიის საზღვარგარეთის წევრები:

ჩუხნო ინა (უკრაინა); გოგთურქ თემალი (თურქეთი); თურგუტ ბულენტი (თურქეთი); ბელოკონევა-შიუკაშვილი მარინა (პოლონეთი); გასანოვი ზაური (აზერბაიჯანი); მამმადოვი რამაზანი (თურქეთი); სანტროსიანი გაგიკი (სომხეთი); სადინდიყოვი ულტემურატი (ყაზახეთი).

The magazine is a periodical scientific publication of
Imereti Agro-ecological Association and
Akaki Tsereteli State University Faculty of Agrarian Studies.

EDITORIAL BOARD

Lortkipanidze Roza– (Editor in Chief);

Santeladze Natalia– (Academic Secretary);

Members: Papunidze Vano; Shapakidze elguja; Asatiani Revaz; Kopaliani Roland; Jabnidze Revaz; Kintsurashvili Ketevan; Khasaia Izolda ; Chabukiani Rani; Qobalia Vaxtang; Fruidze Makvala; Chachkhiani-Anasashvili Nunu; Dolbaia Tamar; Kubaneishvili Maka; Kelendjeridze Nino; Kipiani Nino; Xeladze Maia; Kilasonia Emzar; Kevlishvili Manana; Chxirodze Daredjan; Jobava Tristan; Tsiqoridze Mamuka; Tavberidze Coco; Tabagari Marieta; Kiladze Ramaz; Benidze Eter; Zhorzholiani Tsira; Dumbadze Guguli; Nemsadze Mariam.

FOREIGN MEMBERS OF EDITORIAL BOARD

Chuxno Inna (Ukraine); Gokturk Temel (Turkey); Turgut Bulent (Turkey); Belokoneva-Shiukashvili Marina (Poland); Gasanov Zaur (Azerbaijan); Mammadov Ramazan (Turkey); Santrosian Gagik (Armenia); Sagyndykov Ultemurat (Kazakhstan).

Журнал представляет
Периодическое научное издание
Союза агроэкологической ассоциации Имерети и
Аграрного Факультета Государственного Университета Акакия Церетели

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Лорткипанидзе Роза – (главный редактор);

Сантеладзе Наталия – (Ученый Секретарь);

Члены: Папунидзе Вано; Шафакидзе Элгуджа; Асатиани Реваз; Копалиани Роланд; Джабнидзе Реваз; Кинцурашвили Кетеван; Хасая Изольда; Чабუкиანი Рани; Кобалия Вахтанг; Пруидзе Маквала; Чახჩიანი-ანასაშვილი ნუნუ; დობაია თამარ; კუბანეიშვილი მაკა; კელენჯერიძე ნინო; კიპიანი ნინო; ხელაძე მაია; კილასონია ემზარ; კევილიშვილი მანანა; ჩხიროძე დარეჯან; ჯობავა ტრისტან; წიქორიძე მამუკა; ტავბერიძე სოსო; ტაბაგარი მარიეტა; კილაძე რამაზ; ბენიძე ეთერი; ჯორჯოლიანი ცირა; დუმბაძე გუგული; ნემსაძე მარიამ.

ЗАРУБЕЖНЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Чухно Инна (Украина); Гоктурк Темал (Турция); Тургут Булент (Турция); Белоконева-Шиукашвили Марина (Польша); Гасанов Заур (Азербайджан); Маммадов Рамазан (Турция); Сантросян Гагик (Армения); Сагиндигов Ултемурат (Казахстан)

შინაარსი

1

agraruli mecnierebani
AGRICAL SCIENCES
АГРАРНЫЕ НАУКИ

თამილა არდემანაშვილი, ინგა გაფრინდაშვილი, ნანა ჯაბნიძე – კლიმატური ცვლილებების გავლენა აჭარის შავიზღვისპირა ტერიტორიაზე გავრცელებული ბუტია პალმის ტექნიკურ მახასიათებლებზე _____	9
ნინო კვლენჯერიძე, ნატალია სანთელაძე – ნიადაგური კვლევები დაფნის კულტურის გავრცელებისთვის (კახეთის რეგიონი, საქართველო) _____	12
როლანდ კოპალიანი, ანდრო ხეთერელი – “ფიზალისის (<i>physalis peruviana</i>) გავრცელების პერსპექტივები საქართველოში _____	16
Roland Kopaliani, Nino Kipiani – Results of Phenological Observation of Hybrid Relatives Obtained by Crossing with Spontaneous Mutants of Lemon Meyer Trifoliolate _____	20
როზა ლორთქიფანიძე, ნუნუ ჩაჩხიანი-ანასაშვილი, გიორგი იაკობაშვილი – ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებზე ქლიავის (<i>Prunus domestica</i>) სამრეწველო წარმოება იმერეთის რეგიონში _____	23
ნინო მარგველაშვილი – მიღწევები ცხოველთა ტრანსგენეზში _____	26
მაკა ყუბანეიშვილი – გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალო - სამკურნალო მცენარეები _____	36
ნანა ჯაბნიძე, რეზო ჯაბნიძე, ლაშა ზოიძე, ხათუნა ბოლქვაძე – აბორიგენული საღვინე ვაზის ჯიში „საწურის“ ფენოლოგიური დაკვირვების შედეგები ქედის მუნიციპალიტეტის პირობებში _____	42
ჯინჭარაძე ნატალია – ტუნგის ხე – ცხიმ-ზეთოვანი კულტურა, მისი აგროტექნოლოგია და სამრეწველო დანიშნულება _____	47
Tristan Jobava – Results of Studying the Intensity of Photosynthesis, Respiration Activity, Pigments and Sugars in Leaves of Lemon Dioskuria According to Periods _____	52
თამარ ხუციძე – ეკოლოგიურად სუფთა მწვანე ჩაის ხსნადი ექსტრაქტის სამკურნალო მეთოდები ინფიცირებული, ძნელად შესახორცებელი ჭრილობებისათვის _____	56

ნუნუ დიაკონიძე, ნინო ხონელიძე – ქუთაისის ბოტანიკური ბაღის
ფლორის გვირგვინი _____ 61

ნანა გოგიშვილი – საქართველოში გავრცელებული ტყემლის ჯიშური ფორმების ქიმიურ-ტექნოლოგიური გამოკვლევა _____	71
ნანა გოგიშვილი – შრომის უსაფრთხოება ტურიზმის სფეროში, გამოწვევები, პრობლემები _____	78
ლუიზა გორგოძე, მარინა კუცია – ზამბახისებრთა (Iridaceae) ოჯახის ზოგიერთი იშვიათი, გადაშენებადი და ენდემური სახეობების ex-situ კონსერვაცია ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში და მათი გამოყენება დეკორატიულ მეზალოგიაში _	83
ეკატერინა გუბელაძე – ზოგიერთ ლამაზადმოყვავილე მერქნიანების ყვავილობა ქუთაისის ბაღებსა და სკვერებში _____	94
სოსო თავბერიძე, ემზარ კილასონია, შორენა კაპანაძე – სატრაქტორო აგრეგატის კინემატიკის ზოგიერთი საკითხი ფერდობული მიწათმოქმედების პირობებში _____	101
ეკატერინე კახნიაშვილი – მცენარეული ნედლეულით ჩაის პროდუქციის სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებების ამაღლება _____	107
ზაზა პაპიძე, შორენა ფხაკაძე – ინვერტორების როლი მზის ელექტროენერგეტიკული სისტემების გამართულ მუშაობაში _____	112
იზა ოჩხიკიძე – მცირე არქიტექტურული ფორმების როლი ლანდშაფტურ დიზაინში _____	118
ცირა ჟორჟოლიანი, ემზარ გორდაძე – ეკოლოგიური კრიზისი და მისი შედეგები _____	123
მაყვალა ფრუიძე, შორენა ჩაკვეტაძე, ეკატერინე ბენდელიანი – კენკროვანი მცენარეებისაგან ბალახოვანი ჩაის მიღების ტექნოლოგია	130
ნანა ქათამაძე – ხილის სხვადასხვა ჯიშების ხელოვნური შრობა _____	137
ქეთევან ქუთელია – ყვავილნარი ყვავილების გარეშე _____	142
ქეთევან ქუთელია – ბონსაის ხელოვნება _____	146
მამუკა წიქორიძე – ატომური ტექნიკის გამოყენება სოფლის მეურნეობის მექანიზაციასა და ელექტროფიკაციაში _____	151

მანანა კობახიძე, პაპუნა კუპრაშვილი – სამედიცინო ტურიზმი და საქართველო _____	157
სერგო ცაგარეიშვილი, მანანა კობახიძე – ისტორიულ-რომანტიკული ტური ქუთაისში _____	161

ეთერ ბენიძე, გიორგი კილაძე – მცენარეების მნიშვნელობა დასახლებული ტერიტორიების ტემპერატურული რეჟიმის ფორმირებაში _____	173
Kopalian Lia, Kiladze Giorgi, Ekaterine Arveladze, Liana Gogelia – Resort "Dzughuri" (source of immortality) its natural diversity, healing properties and the possibility of tourism development _____	181
Roza Lortkipanidze, Natalia Santeladze – Greenhouse gas emissions in Georgia's agroecological environment _____	184
აკაკი ნასყიდაშვილი – მთიანი აფხაზეთის ბუნება _____	186
ნინო მოწინიძე – მდინარე ხანისწყლის ხეობის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუჩქნარ-ბალახოვანი მცენარეულობა _	193
ქეთევან ჩიქვინიძე, ნინო მარგველაშვილი – რიდონეტით გამოწვეული ფიზიოლოგიური და გენეტიკური ცვლილებები სოიას ტესტ სისტემაში _____	197
მაია ხელაძე – წყლის რესურსების დაბინძურების გამომწვევი მიზეზები და შედეგები _____	207
გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, კონსტრუქტორი, პედაგოგი _	212
Prominent Georgian Scientist, Constructor, pedagogue _____	217

3 მომსახურებები SERVICES УСЛУГИ



ისტორიულ - რომანტიკული ტური ქუთაისში

სერგო ცაგარეიშვილი

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

მანანა კობახიძე

მოწვეული სპეციალისტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების გაცოცხლებას. ნაშრომში გადმოცემულია მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქის რომანტიზმის ისტორია. რომანტიკულ ტურში მხატვრულად არის აღწერილი ქუთაისის სასიყვარულო ისტორიები, რომელიც მოიცავს შემდეგ ობიექტებს: თეთრი ხიდი (სიყვარულის ხიდი), ვ. ანჯაფარიძის სკვერი (სიყვარულის სკვერი), ოქროს ჩარდახი, კლასიკური გიმნაზია, ბულვარი, კათოლიკეების უბანი, ჯაჭვის ხიდი, ბაგრატის ტაძარი, უქიმერიონი, გალაკტიონ ტაბიძის ძეგლი, წითელი ხიდი და გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი.

ბევრს მოგვითხრობენ ლეგენდები ისტორიულ სიყვარულზე: ზღვისა და მიწის ბედისწერამ სწორედ ამ გასაოცარ ქალაქს მოიყვანა საბერძნეთიდან წამოსული ხომალდი „არგო“. ყველაზე დიდი საოცრება, რაც ბერძნებმა კოლხეთის სატახტოში იხილეს იყო აიეტის ასული-მედეა. ხომალდ „არგოს“ მეთაურმა იაზონმა ღვთაება ეროსის დახმარებით თავი შეაყვარა კოლხეთის მშვენებას. სწორედ მედეასთან ერთად გაიტაცა იაზონმა ოქროს საწმისი მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ქალაქ ქუთაისიდან.

საკვანძო სიტყვები: ქუთაისი, რომანტიკული, ტური, სიყვარული, ისტორია

ქუთაისი ღირსეულ ადგილს იკავებს მსოფლიოს რომანტიკული ქალაქებს შორის. რომანტიკულ ტურში, მხატვრულად არის გადმოცემული ქუთაისის სიყვარულის ისტორიები, რომელიც მოიცავს შემდეგ ობიექტებს: თეთრი ხიდი (სიყვარულის ხიდი) ვ. ანჯაფარიძის სკვერი (სიყვარულის სკვერი) ოქროს ჩარდახი, კლასიკური გიმნაზია ბულვარი, კათოლიკეების უბანი, ჯაჭვის ხიდი, ბაგრატის ტაძარი, უქიმერიონი, გალაკტიონ ტაბიძის ძეგლი, წითელი ხიდი.

სანთლებივით ანთებული
იწვებით და ინთებით,
და დაფრინავთ ოცნებებში
სიყვარულზე ფიქრებით.
წერეთლის და ტაბიძის
პოეზიით გამთბარი,
მზის სხივებით მოქარგული
ეს ლამაზი მთა-ბარი.

ქალ-ვაჟების სიყვარულით
ანთებული ლამპარი,
და ჩვენს მიერ მონათხრობი
სიყვარულის ზღაპარი.
აქ ბესიკის სიყვარულის
უცნაური არაკი,
რომანტიკულ ტურს ზეიმობს
სიყვარულის ქალაქი.

სერგო ცაგარეიშვილი

ბევრს მოგვითხრობენ ლეგენდები ისტორიულ სიყვარულზე: ზღვისა და მიწის ბედისწერამ სწორედ ამ გასაოცარ ქალაქს მოიყვანა საბერძნეთიდან წამოსული ხომალდი „არგო“. ყველაზე დიდი საოცრება, რაც ბერძნებმა კოლხეთის სატახტოში იხილეს

იყო აიეტის ასული–მედეა. ხომალდ „არგოს“ მეთაურმა იაზონმა ღვთაება ეროსის დახმარებით თავი შეაყვარა კოლხეთის მშვენებას. სწორედ მედეასთან ერთად გაიტაცა იაზონმა ოქროს საწმისი მსოფლიოს ერთ–ერთ უძველეს ქალაქ ქუთაისიდან.

ქუთაისის ისტორია დაიწყო უფრო ადრე და მანამ, სანამ უძველესი ბერძნები აღმოაჩენდნენ, რომ შავი ზღვის პირას, არსებობდა ისეთი განვითარებული ქვეყანა, სადაც სამყაროს მთავარი საიდუმლო ინახებოდა. ის ქვეყანა გახლდათ უძველესი კოლხეთი–დღევანდელი საქართველოს ერთ–ერთი წინაპარი სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი სწორედ ქუთაისი იყო და იმ მთავარ საიდუმლოს კი, ოქროს საწმისი ერქვა.

ვინც იცნობს ბერძნულ მითოლოგიას, მან ისიც იცის, რომ ქუთაისში (სადაც მაშინ სახელოვანი აიეტი მეფობდა) ბერძნებს ძალიან მდიდრული სასახლე და აყვავებული ქალაქი დახვდათ და ასე აღწერს კიდევ ქუთაისსა და ძველ საქართველოს „ არგონავტიკის“ ავტორი აპოლონიოს როდისელიც.

მართალია თანამედროვე ქუთაისი სრულიად განსხვავდება საქართველოს იმ პირველი დედაქალაქისაგან (რომელსაც მაშინ არგონავტები ესტუმრნენ), მაგრამ ახლანდელ ქუთაისშიც შეგიძლიათ ნახოთ იმ მედეა კოლხივით ულამაზესი ქალები, რომელმაც სამი ათასი წლის წინ, არგონავტების მეთაური იასონი, სულ ადვილად მოაჯადოვა. ქუთაისის ხსენებაზე წარმოსახვაში უცაბედად ამოტივტივდება თეთრი ხიდი, რიონი თავისი განუმეორებელი თეთრი ქვებით. ჩვენი მარშრუტიც აქედან იწყება:

თეთრი ხიდი - ქუთაისში მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე საინტერესო ხიდია, ყველაზე ადვილი მისაგნები, და ალბათ ყველაზე ისტორიულიც, მაინც თეთრი ხიდია .

1872 წელს საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი ლითონის ფორმებით განახლდა ხიდი, ეს ფორმები თეთრად იყო შეღებილი და სწორედ ამიტომ დაერქვა ამ ხიდსაც თეთრი ხიდი. ამბობენ, ამ ხიდიდან გასცქეროდა გალაქტიონი რიონის აზვირთებულ ტალღებს, აქ სეირნობდნენ ბოჰემური ცხოვრების ტკბობით ცნობილი ცისფერყანწელები, და რაც მთავარია, ეს ადგილი იყო და არის შეყვარებულთა შეხვედრისთვის გამორჩეული, რამეთუ სიყვარულის სიმბოლოდ ხიდი აერთიანებს და აკავშირებს ორ გულს.

ჭაბუკების სილალის და სიმკვირცხლის საზომიც ეს ხიდი ყოფილა. ლეგენდის მსგავსი ამბავიც არსებობს: რეჟისორ კოტე მარჯანიშვილს თეთრ ხიდზე სეირნობისას უნახავს გასროლილი ისარივით მომართული ყმაწვილი როგორ გადაეშვა ხიდიდან მდინარეში. სწორედ ეს იყო ბედნიერი შეხვედრა დიდ რეჟისორ კოტე მარჯანიშვილსა და დიდ მსახიობ გიორგი შავგულიძეს შორის.

სიყვარულის ხიდი სიმბოლურად უკავშირდება სიყვარულის სკვერს:

ეს ადგილი მონარქთა ეპოქაში სამეფო ბაღის ნაწილი იყო. როგორც სკვერი კი მისი მშენებლობა დაიწყო მე–20 საუკუნის 30–იან წლებში. წარსული დიდების ნაშთად შემორჩენილი ეს ბაღი დღეს მოდერნიზებული და განახლებულია, 2008 წელს ამ სკვერს ეწოდა ცნობილი მსახიობის ვერიკო ანჯაფარიძის სახელი. ვერიკო ანჯაფარიძე კი ნამდვილი ქუთაისელი ბანოვანი გახლდათ. საკმაოდ ცნობილია ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელის სიყვარულის ისტორია.

დღეს ეს სკვერი ახალგაზრდებისთვის დასვენებისა და განტვირთვისათვის საუკეთესო ადგილია. სკვერს ქალაქის ყველაზე მაღალ უბანთან–გორასთან აკავშირებს 1960

წელს აგებული საბაგრო გზა. მათ ვისაც გიყვართ სივრცე და მაღლიდან ჰორიზონტის დათვალირება, საშუალება მოგეცემათ ისარგებლოთ ამ მოსახერხებელი ტრანსპორტის სახეობით და დატკბეთ ქალაქის ულამაზესი ხედების ცქერით. ვერიკო ანჯაფარიძის სკვერს „სიყვარულის სკვერსაც“ ეძახიან.

ამ სკვერიდან მივემართებით იმერეთის მეფეთა რეზიდენციისაკენ, რომელსაც „ოქროს ჩარდახს“ უწოდებენ .

მე XV საუკუნის ვენეციელი ელჩი და დიპლომატი ამბროჯიო კონტარინი საინტერესო ცნობებს გვაწვდის რიონის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სამეფო სახლის შესახებ. მათი ცნობით მეფეთა სასახლე აუშენებია იმერეთის მეფე გიორგი მესამეს და იქედან მოყოლებული 1810 წლამდე აქ იყო იმერეთის მეფეთა რეზიდენცია. სასახლის წინ დგას „საქართველოს პატრიარქად“ აღიარებული მრავალსაუკუნოვანი ჭადარი.

იმერეთის სამეფო კარზე მოღვაწეობდა ქართველი პოეტი ბესიკ გაბაშვილი, რომელიც გამიჯნურებული იყო და ანა დედოფალს უმღერდა შაირებს.

ტანო ტატანო

ტანო ტატანო, გულწამტანო,

უცხოდ მარებო!

ზილფო, კავებო, მომკლავებო,

ვერსაკარებო,.....

ოქროს ჩარდახის მიმდებარე ტერიტორია იყო ცისფერყანწელთა შეკრების ადგილი, ამიტომ აქ მდებარე ქუჩას მათი სახელი უწოდეს.

1915 წელს როდესაც ომით გათანგულ მსოფლიოს მოუშუშებელი ჭრილობები სტკიოდა, ქუთაისში პოეზიაზე და ხელოვნებაზე უზომოდ შეყვარებული გიმნაზიის კურსდამთავრებულები ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის თაოსნობით აყალიბებენ ლიტერატურულ გაერთიანებას სახელწოდებით „ცისფერყანწელები“.

შემდეგი ობიექტია ცისფერყანწელთა ცოდნის ტამარი ქუთაისის კლასიკური გიმნაზია -აკაკი წერეთლის პირველი საჯარო სკოლა. იგი მემკვიდრეა არსებული კლასიკური გიმნაზიის. მე-20 საუკუნის დასაწყისში აქ აღიზარდნენ და სწავლობდნენ: აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, ნიკო მარი, გრიგოლ წერეთელი, ექვთიმე თაყაიშვილი, ცისფერყანწელთა წარმომადგენლები: ტიციანი, პაოლო და მრავალი სხვა, ვისთანაც დაკავშირებულია ქართული და მსოფლიო კინოს, თეატრის, მხატვრობის და მუსიკალური კულტურის განვითარება. ქუთაისის პირველი გიმნაზია იყო ქართული გენიის ნამდვილი სამჭედლო. აქვეა გიმნაზიელი ვლ. მაიაკოვსკის ძეგლი. ქუთაისის სახელთანაა დაკავშირებული პირველი ქართული დოკუმენტური ფილმი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ (გადაღებული 1912 წელს), რომელიც გადაიღო პირველმა ქართველმა რეჟისორმა, ქალაქ ქუთაისის მკვიდრმა ვასილ ამაშუკელმა. პრემიერა ყოფილი კინოთეატრის „რადიუმის“ შენობაში გაიმართა. კომუნისტების ეპოქაში მას სახელი შეუცვალეს და „კომუნა“ დაარქვეს. 2007 წელს შენობა აღადგინეს და ძველი სახელი დაუბრუნეს.

ექვთიმეს ძეგლი, კიდევ ერთი ლამაზი სიყვარულის ისტორიას გვაგონებს ნინო პალტაროვსკაიასთან. რომელიც მარადიული გრძნობის ნიმუშია.

რუსთაველის პროსპექტი - ყოფილი ორპირის ქუჩა ატარებს XII საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტის, "ვეფხისტყაოსნის" ავტორის შოთა რუსთაველის სახელს. ნაწარმოებში პოეტი ხოტბას ასხამს სიყვარულს, მეგობრობას, ერთგულებას და თავდადებას.

ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად

გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად

ჩვენი ტური გრძელდება რუსთაველის გამზირის გავლით ოპერის თეატრისკენ. ქუთაისის ოპერის თეატრი, რომელიც 1969 წელს გაიხსნა ზაქარია ფალიაშვილის პირველი ქართული ოპერით „აბესალომ და ეთერი“, სადაც მოთხრობილია ტრაგიკული სიყვარულის ამბავი. ოპერის თეატრი გვაკავშირებს ქალაქის ცენტრალურ ბაღთან, რომელიც ბულვარის სახელით არის ცნობილი და პოეტმა ნესტან კვეციემ შემდეგი სტრიქონები მიუძღვნა:

ქუთაისი შემაყვარა

ბევრმა შენმა გადამკიდემ

ხან ხმაურობ, ხანაც დუმხარ

ბევრის მომსწრე ბაღის კიდევ.

აქვე დგას საქართველოს ბულბულად წოდებული სასიქადულო პოეტის აკაკი წერეთლის ძეგლი. აკაკი და ქუთაისი - განუყოფელია. გავიხსენით მისი ერთ-ერთი ლექსი:

მშვენიერი ქუთაისი

თვით სამოთხის სადარია,

მაგრამ მისმა ხასიათმა

ჩვენში ყველა გადარია.....

ამავე ბულვარში შეგიძლიათ იმ ძეგლს მიაქციოთ ყურადღება, რომელიც ოთხი ქუთაისელი, მომღერალი ქალის დები იზხნელების საპატივცემულოდ დადგეს. საკვირველიც არის და საამაყოც, რომ ქუთაისელებმა თანასწორობის თვალსაზრისითაც დანარჩენ სამყაროს საუკუნეებით თუ არა ათასწლეულებით მაინც გაუსწრეს.

ბაღიდან კარგად ჩანს შენობა, რომელიც დღეს ქალაქის მერიას წარმოადგენს, ამ ადგილზე ადრე მდებარეობდა მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია, სადაც ჯვარი დაიწერეს გალაკტიონის მუზამ – მერი შერვაშიძემ და გიორგი (გიგუშა) ნიკოლოზის ძე ერისთავმა. ეს ჯვრისწერა პოეტმა, თავის ლექსში წინასწარმეტყველურად ასახა,

„შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი!

მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კვდომა

სანდომიან ცის ელვა და ფერი

მწუხარე იყო, ვით შემოდგომა!

.....

გალაკტიონი

მოედანი იქ, სადაც დღეს ოპერა, ბაღი და თვით მოედანია, ადრე მთლიანად მოედანს ეკავა, რომლის აღმოსავლეთით სავაჭრო ადგილი იყო, შემდგომში როდესაც აქ ტა-

მარი „სობორო“ აიგო მოედანმა, სრულიად სხვა სახე მიღო და პარიზის მოედანი ეწოდა. 1989–1995 წლებში აქ დაიდგა ელგუჯა ამამუკელის მიერ შექმნილი დავით აღმაშენებლის ძეგლი და მოედანსაც მისივე სახელი მიენიჭა. ძეგლის ადგილზე დღეს დგას ძველი კოლხური სკულპტურებით დამშვენებული შადრევანი.

აქვეა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი. ეს შენობა 1955 წელს ოფიციალურად გაიხსნა სპექტაკლით “ტარიელ გოლუა”. ჩვენი ტური გრძელდება კათოლიკების უბნის გავლით ჯაჭვის ხიდისაკენ.

ჯაჭვის ხიდი უძველესია ქუთაისის ხიდებს შორის, აქ არის აღმოჩენილი მე-5 საუკუნის ხიდის ნაშთი. 1850 წლებში ჯაჭვებზე დაკიდებული ხის ფერმის აგების შემდეგ ხიდს დღევანდელი სახელი შეერქვა. ახლანდელი ხიდი 1995 წელსაა აღდგენილი.

ჯაჭვის ხიდიდან 180 საფეხურიანი კიბით მოვხვდებით ბაგრატის ტაძართან. ეს კიბე ჩვენს ცნობიერებაში უმალ ფილმ “საბუდარელ ჭაბუკს” მოგვაგონებს. ამ საფეხურების ბოლოს კი არქიელის გორაზე ჩვენ გველოდება ისტორიულ ქარტახილებს გამოვლილი ბაგრატის ტაძარი.

ბაგრატის ტაძარი მდინარე რიონის მარჯვენა მხარეზე მდებარეობს. ამ ადგილს ქალაქის ისტორიულ ნაწილს ეძახიან. ტაძარს გარშემო ქვის გალავანი უვლის, ხოლო აღმოსავლეთით ძველი ქუთაისის ციხის ნანგრევები ესაზღვრება. ანტიკური ხანიდან ამ ადგილას კოლხეთის მეფეების რეზიდენცია და აკროპოლისი იყო, რომლის ნაშთები არქეოლოგიური გათხრების შედეგად დღესაცაა შემორჩენილი.

ბაგრატის ტაძარი აგებულია მე-10 მე-11 საუკუნეების მიჯნაზე ბაგრატ მესამის მეფობის დროს, რომელიც გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს პირველი მეფე იყო.

ბაგრატის ტაძრიდან იშლება ქალაქის პანორამა, რომელიც გვაგონებს პოეტის ირაკლი აბაშიძის სიტყვებს:

”ის სურნელი შუა ქალაქში,
შუა ქუჩებში ჭრელი პეპლები;
ჩემი წარსულის ძველი დარაჯი-
ჩემი ბაგრატის ციხის კედლები;

ახლაც ნათელი, თითქოს ქვა-კირში
ჩვენი ასწლების შუქი ერიოს...
ვნახო სიძველე ახალ აპრილში,
ისევ ვეწვიო უქიმიერიონს. „

ციხე-ქალაქი უქიმიერიონი - ქალაქის ერთ-ერთი უძველესი უბანია, რომელსაც მდინარე რიონის მარჯვენა ნაწილის მაღლობი ადგილი ეკავა და ქუთაისის ჩრდილოეთით მდებარეობს, ცნობილი იყო უქიმიერიონის, იგივე არქიელის გორის სახელწოდებით. შესანიშნავი გეოგრაფიული მდებარეობით და კარგი სტრატეგიული თვალსაზრისით ქუთაისის უძველესმა ციხესიმაგრემ უდიდესი როლი ითამაშა ურიცხვ მტერთან ბრძოლაში. ჩვენი მარშრუტი გრძელდება ყაზბეგის ქუჩიდან გალაკტიონ ტაბიძის ქუჩისაკენ. გზად გვხვდება გასული საუკუნის ძეგლი წმინდა გიორგის ეკლესია, რომლის ეზოში დაკრძალულია ცნობილი პოეტი მამია გურიელი, რომლის ყველაზე ცნობილი ლექსია „ადამიანი“

ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს
და სიყვარული მოძმეთა ვალად
სამშობლოს შენი მარად გახსოვდეს,
თუ კი გსურს გახდე ადამიანდ.

შემდეგი ობიექტია გალაკტიონის ძეგლი. სულით მედროშე პოეტი, ქუთაისის პარიზსაც უწოდებდა. რა თქმა უნდა, მუზის ოსტატი ამას ხუმრობით ამბობდა, მაგრამ არის ამ პარალელში რაღაც მისთვის დამახასიათებელი სიმბოლური და იდეალური აზრი. პოეტისათვის სიყვარული უკვდავი და მარადიულია.

უსიყვარულოდ
მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება
სასიხარულოდ....
უსიყვარულოდ არ არსებობს
არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს
უსიყვარულოდ.

წითელი ხიდი - ქუთაისის პირველი რკინის ხიდი, რომელიც დღეს „წითელი ხიდი“-ს სახელით არის ცნობილი, ექსპლუატაციაში 1862 წლის მაისში გაეშვა. მისი მშენებლობის ისტორია საკმაოდ საინტერესო დეტალებს მოიცავს. ამბობენ, რომ წითელი ხიდისათვის საჭირო მასალა იმ ფაბრიკაში დამზადდა, სადაც თავის დროზე ეიფელის კოშკი აიწყო. ოფიციალური წყაროებით ეს ინფორმაცია არ დასტურდება,

ჩვენი ტური დასასრულს უახლოვდება. გავიხსენოთ პოეტ ოთარ მამფორიას ლექსი:

„ქუთაისო ხელგაშლილო

მასპირძელო მარადა
საქართველოს ქალაქების
თმაჭალარა თამადავ!
ქუთაისო ნატვრის თვალო,
ეს მზე მარად გფარავდეს,
ვინც სიბერე გაგიხაროს
შენებრ გაჭალარავდეს.“

ჩვენ არ გვაქვს ბათუმივით ლაჟვარდოვანი სანაპირო, არ გვაქვს თბილისივით ოქროს ბრწყინვალება, მაგრამ ჩვენ გვაქვს სხვა სიყვარული - ჩვენ ვართ სიყვარულის ქალაქი.

ახლა ასეა - თუ თბილისი საქართველოს დედაქალაქია, მაშინ ქუთაისი სიყვარულის დედაქალაქია.

კეთილი იყოს თქვენი მოზრძანება სიყვარულის დედაქალაქში.

გამოყენებული ლიტერატურა.

1. ვახტანგ ჯაომვილი. "ქუთაისი", თბილისი "მეცნიერება" 1989.

2. აკაკი წერეთელი. თბილისი ტომი1 1988.
3. გალაკტიონ ტაბიძე. „რჩეული“ თბილისი „პალიტრა“ 2014
4. ზ. ჯავახიძე. "ქუთაისი ჩემო დედავ". ქუთაისი 2012 წელი.

Historical-romantic tour in Kutaisi

Sergo Tsagareishvili

Academic Doctor of Agriculture, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Manana Kobakhidze

Invited specialist, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Reviving historical facts and events is of great importance for the development of cultural tourism, the work tells the story of the romanticism of one of the oldest cities in the world in a romantic tour, the love stories of Kutaisi are artistically described, which includes the following objects: Tetri Khidi (Bridge of Love) v. Anjafaridze Square (Love Square) Golden Awning, Classical Gymnasium Boulevard, Catholic Quarter, Chain Bridge, Bagrat Cathedral, Uchimerion, Galaktion Tabidze Monument, Red Bridge and Gabashvili Culture and Leisure Park. Many legends are told about the historical love. The fate of the sea and the land brought the ship "Argo" from Greece to this amazing city. The greatest wonder that the Greeks saw in the throne of Kolkheti was Medea, the daughter of Ayet, Jason, the commander of the ship "Argo", fell in love with the beauty of Kolkheti with the help of the deity Eros. It was with Medea that Jason stole the Golden Fleece. From one of the oldest cities in the world, Kutaisi.

Keywords: Kutaisi, romantic, tour, love, history

Many legends tell us about the historical love. The fate of the sea and the land brought the ship "Argo" from Greece to this amazing city. Medea was the daughter of Ayet. the commander of the "Argo" ship, fell in love with the beauty of Colchis with the help of the deity Eros. It was with Medea that he stole the Golden Fleece. From one of the oldest cities in the world, Kutaisi. The history of Kutaisi began earlier and before the ancient Greeks discovered that on the edge of the Black Sea, there was such a developed country where the main secret of the world was kept. That country was ancient Kolkheti - one of the ancestors of today's Georgia, the capital of which was Kutaisi, and the Golden Fleece was the main land of that country Anyone who knows Greek mythology knows that In Kutaisi, (where the famous Ayet reigned at that time), the Greeks, They found a very luxurious palace and a prosperous city, and this is how the author of "Argonautics of Kutaisi and Shvel Georgia" describes Apolonios Rodiseli.

Although in modern Kutaisi, It is completely different from the first capital of Georgia which was then visited by the Argonauts), but now In Kutaisi, you can also see beautiful women like Medea Colkhi, who three thousand years ago easily bewitched Jason, the commander of the Argonauts. At the mention of Kutaisi, the white bridge suddenly rises in Tsarosakhva, Rion with its unique white stones is also our route - this is where it starts. White Bridge in Kutaisi Although there are several interesting bridges, the easiest to find and probably the most historic. It is still a white bridge - in 1872, the bridge was renovated with metal forms brought from abroad, these forms were painted white, and that is why this bridge was also called the White Bridge.

Kutaisi occupies a worthy place among the romantic cities of the world. In the romantic tour, the love stories of Kutaisi are artistically conveyed, which includes the following objects: white bridge (Bridge of Love) v. Anjafaridze Square (Love Square) Golden Ardan, Classical Gymnasium Boulevard, Catholic Quarter, Chain Bridge, Bagrat Cathedral, Uchimerion, Galaktion Tabidze Monument, Red

It was and is a place for lovers to meet Distinctive because as a symbol of love, the bridge unites and connects two hearts. This bridge was also a measure of the youth's enthusiasm and surprise. The Love Bridge is symbolically connected to the Love Square This place was a part of the royal garden in the era of monarchs, and its construction as a square began in the early 20th century. This garden, which remains a remnant of past glory, is modernized and renovated today. In 2008, this square was named after the famous actor Veriko Anjaparidze.

Today, this square is the best place for young people to relax and unwind. It has been 100 years since the square was connected to the highest part of the city - the hill since 1960 Built cable car. Those who love space You will be given the opportunity to see Porisont from above Take

advantage of this convenient mode of transport and Enjoy the beautiful views of the city. Veriko Japaridze Square is also called "Love Square", from the square we will go to the residence of the kings of Imereti, which is called the "Golden Awning". In XV century king Giorgi the III has build king palace and from then until 1810, it was the residence of the kings of Imereti. The Georgian poet Besik Gabashvili, recognized as "the centuries-old Chadar patriarch of Georgia.

The area around the Golden Awning was a meeting place for blue collars, so the street here was named after them. (Earlier this street was called Karvasli) In 1915, when the irreparable wounds of the war-torn world ached, high school graduates in Kutaisi who were extremely in love with poetry and art formed a literary association called "Tsiferkantseli" under the leadership of Titsian Tabidze and Paolo Iashvili. The next object is the Temple of Knowledge of the Cysferkantseli Kutaisi Classical Gymnasium – the first public school of Akaki Tsereteli. It is adjacent to the existing classical gymnasium. At the beginning of the 20th century, Akaki Tsereteli, Niko Nikoladze, Sergey Meskhi, Niko Mari, Grigol Tsereteli, Ekvtime Taqaishvili, representatives of Tsiferkantseli: Titsiani, Paolo and many others, who are related to Georgian and world cinema, theater, painting and The development of musical culture, the gymnasium was a real forge of Georgian genius. There is a gymnasium here. Mayakovsky monument. The first Georgian documentary film, "Akaki Tsereteli's Journey to Racha-Lechkhumi" (released in 1912), is associated with the name of Kutaisi, which was filmed by the first Georgian director, Vasil Amashukeli, a native of our city. The premiere was held in the former theater "Radium" in English. During the communist era, it was renamed "Commune". In 2007, the building was restored and its old name was returned. Ekvtime's monument reminds us of another beautiful love story with Nino Paltarovskaya "which is a model of eternal feeling. Rustaveli Avenue, the former Orpiri Street, which bears the name of Shota Rustaveli, the greatest Georgian poet of the 12th century, the author of "Vefkhistkaosni". In the work, the poet preaches about love, friendship, loyalty, dedication. Our tour continues through Rustaveli Avenue to the Opera House Kutaisi Opera Theater which was built In 1969, it opened with Zakaria Paliashvili's first Georgian opera "Abesalom and Eter", which tells the story of a tragic love. The Opera House connects us to the central garden of the city, which is known as the Boulevard.

